



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალთუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49210296

თარიღი:29/01/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 6

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ავთანდილ დვალიშვილს შორის 2019 წლის 19 დეკემბერს გაფორმებულ N4 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482102598; 25/01/2021) წერილი, რომელშიც მერი, მოიჯარე ავთანდილ დვალიშვილის განცხადების საფუძველზე, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ითხოვს თანხმობას საკრებულოსგან, რომ მოხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ავთანდილ დვალიშვილს შორის 2019 წლის 19 დეკემბერს გაფორმებულ N4 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შემდეგი სახით: 1) ხელშეკრულების მეოთხე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹პუნქტი: „2.2.¹ ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიისგან შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით 2020 წლის 30 ნოემბრამდე გადასახდელი 2020 წლის საიჯარო ქირის გადახდა (17 579.880 ლარი) და პირგასამტეხლო 2021 წლის 20 იანვრის მდგომარეობით 2686,99 ლარი, გადავადდეს საშელავათო პერიოდით და გადახდა მოხდეს ერთჯერადად 2021 წლის 30 აგვისტომდე. ამ პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დარიცხვა. 2) ხელშეკრულების მეექვსე მუხლს დაემატოს დ¹ პუნქტი შემდეგი სახით: მოიჯარე ვალდებულია უძრავი ქონება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1039 კვ.მ მიწის ნაკვეთზე 2021 წლის 30 აგვისტომდე გარე ვაჭრობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყენების მიზნით საკუთარი ხარჯებით განათავსოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასთან წინასწარ შეთანხმებული დროებითი შენობა-ნაგებობა (ჯიხური, დახლი), რაც არ ქმნის მიწის არსებით შემადგენელ ნაწილს და მოახდინოს ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მოსარგებლეებს (მოიჯარეებს) უჭირთ იჯარის თანხის გადახდა მუნიციპალიტეტისათვის, მათი დახმარების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, განახორციელოს სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის შეცვლა, კერძოდ ქონებით სარგებლობისათვის დადებულ წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ავთანდილ დავლიშვილს შორის 2019 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული N4 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, მერის 2021 წლის 25 იანვრის N48-482102598 წერილში მითითებული პირობებით, მოსარგებლისათვის გადასახდელი საიჯარო ქირის გადავადების მიზნით.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

